თეატრი და ცხოვრება

№ 46

შაბათი
14
გიორგობ.
1915

ყველიწადი
მ ე ს ა მ ე

ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 4 გიორგ. სარატოვში გარდაიცვალა მისი თანამშრომელი ნადეპუტატარი

ჭოლა ლომთათიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 15 გიორ. წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ბიკენტი ჭოლა ლომთათიძე 1879—1915

14 გიორგობისთვე

თავზე ხელაღებული

ჭოლა ლომთათიძის ხსოვნას

გლეხის დარიბმა კერამ „წარმოშვა იგი, ცხოვრებამ უდედინაცვლა—გერად ალიარა, მაგრამ მან წარბი არ შეიხარა ცხოვრების ტალღები გადალახა, განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში მოექცა, ძილში მყოფთ მოუხმო და ძველ წყობილებას სასტიკი ომი გამოუცხადა,—

სასტიკი ომი—რაც მაჯლაჯუნასავით დასწოლია ბედკრულ-ბეჩავ ხახლხს.

„დაპრილ ირემს სისხლი სდიოდა“, მაგრამ იგი არა დრკებოდა.

— ან სიკვდილი— ან გამარჯვება, შერი-

გება-კი — არასოდეს!—-აი, რა იყო მცნება მისი, ხალხის რჩეული შვილისა...

ასე მოქმედებენ მხოლოდ თავზე ხელაღებულნი, თანამედროვეთაგან „გიჟად“ ცნობილნი...

ვინ იცის, ქრისტე რომ არ ეწამებინათ, კაცობრიობას არც-კი ხსომებოდა მისი სჯული...

მართალია, იგი ქრისტე არ იყო, არც დიდებული პიროვნება, მაგრამ თავისი რწმენის განმტკიცებას მაინც თავი შესწირა: მთელი შვიდი-რვა წელიწადი ეწამებოდა,

და ერთხელაც არ ამოუგმინია—ვაიო!

ის ხომ ჩვენი გაძვალ-ტყავებულ ხალხის სისხლი სისხლთაგანი, ძვალი—ძვალთაგანი იყო და მისთვისაც განიწირა...

ოჰ, რა დიდებულია ასეთი თავგანწირვა, ასეთი „სიკვდილი“...

ვითომ სძლიეს იგი?! არა, მან სიკვდილითა თვისითა განამტკიცა ახალი ცხოვრების ბილიკი...

ამ ახალი ცხოვრების ერთი პირველი მერცხალთაგანი, თავისუფლების ერთი პირველი მომღერალთაგანი იყო წარსულ კვირას გარდაცვლილი ნადეპუტატარი ჭოლა ლომთათიძე, ჩვენი ნიჭიერი მწერალი სპ. მკირიშვილი—გერი—ჭ. ოლია...

მას წამდა, და ჩვენც გვასწავლიდა, რომ „ნამდვილ სვეტარულს ჯნდა ემსახურო მთელი შენი არსებით“...

და ეს მისი ლიტონი სიტყვები როდი იყო: სამშობლო მწერლობას, მუშა-გლეხთა გათვითცნობიერებას, განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხალხის უფლებათა მოპოვების საქმეს სათათბიროსა თუ ციხეში, სამარის კარამდე, მთელი თავისი არსებით ემსახურა და ემსხვერპლა კიდეც...

ნუ ვიფიქრებთ, ვითომც დღეს იგი ერთი რომელიმე დასის დანაკლისი იყოს,—არა! მისი მოწამეობრივი სიკვდილი ჩვენი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრების ერთი მძიმე, თავბრუ-დამხვევი მოვლენათაგანია... და მიმართულების განურჩევლად — ყველას გულის მომწყვლელი..

და ვისაც ჩვენი მწერლობა რამე ულირს, განმათავისუფლებელი მოძრაობა რამე ღირებულებად მიიჩნია ჩვენი ხალხის გათვითცნობიერებას უმანკო რწმენით შეეხარის და მეორე სათათბიროს დასჯილ დეპუტატთა ხვედრი გულს უწყლავს, ბი.ენტი (ჭოლა) ლომთათიძესაც მუდამ პატივისცემით მოიხსენიებს, როგორც ხალხის ერთ უბიწო ზვარაკთაგანს, და მოწიწებით მუხლს მოიდრეკს ამ ახალი ჯვრის წამებული ადამიანის ცხედრის წინაშე!

შენ-კი, ჩემი საშობლოს ბედკრულო მშრომელო ხალხო, ამ დანაკლისით ნუ კი დაეცემი, არამედ იამაყე და წელში გაიშალე, რომ ასეთი სულით მაღალ შვილთა წარმოშობა შეგძლებია და ეცადე მის ნაკვალევს ბალახ-ბულახი, გვირილა-ჟოტა არ მოერიოს!..

სიყმაწვილე

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩამოივლის ის ჩვენი ცხოვრების კარებთან; მხოლოდ ერთხელ გაჩერდება ის საიდუმლოებით მოცულ ცხოვრების ბჭესთან და წავა, გაქრება ვით მოელვარე ნამი დილის მხურვალე მზის სხივებზე, გაქრება და მიეფარება საშარადისოდ ცხოვრების მჩქეფარე ტალღებს... გაქრება და ვეღარ ნახავ მას შემდეგ...

ბევრჯერ უძახებ მას ცხოვრების უკანასკნელ წუთებში, მოუხმობ ბევრჯერ, მაგრამ ამაოდ იქნება ძახილი და მუდარა —

—ის ალარ დაბრუნდება შენთან!..

ბევრჯერ მოისურვებ, რომ დასწვა, დაფერფლო მომავალი ცხოვრება შენი, დაამსხვრიო აწ არსებული ფიალა ცხოვრებისა მხოლოდ ის დაბრუნდეს, გაგრძნობინოს წუთით მაინც, რაც იყო, რაიც ოდესღაც განიცადე, რაც ისე უყვარდა სულს; გინდა —მაგრამ ულმობელია სასტიკი დრო, ჯალათი ბედნიერების წუ-

ვალ. შალიკაშვილი

მსახიობი და რეჟისორი ბაქოს დრამ. დასისა, ამ ჟამად ავად არის.

თებისა; ვერაგულად მოგტაცა მან საუნჯე შენი და აღარ დაგიბრუნებს მას...

—აღარ დაგიბრუნებს არასოდეს...

მწუხრისა ჟამსა, როდეს ც სწერ შენი ცხოვრების უკანასკნელ ფურცლებს, როდესაც ისმის მწუხარე გლოვის ზარი, შენი ცხოვრების გამომტირებელი გლოვის ზარი—შენ ისევ გსურს თავიდან იწყო წერა ამ ფურცლებისა. მაგრამ ვერ ამოშლი მას, რაც დაწერილა, ვერც დაწერ აწი იმის მსგავსს, რაც ჩაგიწერია ცხოვრების წიგნში... ის არ იქნება მსგავსი სანატრელი წარსულისა. მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩამოიცვლის ის შენს კარებთან, მხოლოდ ერთხელ გაგიღიმებს ტკბილის ღიმილით ერთხელ მოგაწოდებს ლამაზ ფიალას ტანჯვა-ბედნიერებით ავსებულსა...

და ბოლომდე დასცალე ფიალა იგი... დასცალე, რათა წუთი იგი აღარ განშეორდება შენს ცხოვრებაში...

მალე, მალე გაივლის სიჭაბუკე, ახალგაზდობა... და ნეტარ არს ის, ვინც ლამაზათ დასცალა ტკბილი ფიალა სიყმაწვილისა... ნეტარ არს!

მიწიშვილი

ჰეინედან

ოარგმნილი ჭ. ოლიას—ბ. ლომთათიძის მიერ, ჯერ დაუბეჭდავი ხელთ-ნაწერიდან *)

„ჩრდილეთის ზღვიდან“

ღამით კაიუტაში

I

ზღვა შობს, ზღვა ზრდის მარგალიტებს
და ვარსკვლავებს—ცის უფსკრული...
მე კი გულში, ამ ჩემ გულში
გამოვზარდე სიყვარული.

—

უსაზღვროა ზღვა და ზეცა,
იმათ მეტობს ჩემი გული:
მარგალიტზე, ვარსკვლავებზე
უფრო ბრწყინავს სიყვარული.

—

ჩემს დიდ გულზე მომეკარი
პაწაწინა მეგობაროო...
ეს გული, ზღვა, მაღლა ზეცა,
სიყვარულის არის წყაროო!..

II

ლაჟვარდ, უძიროს, კამარას ცისას,
სად მშვენიერნი ვარსკვლავნი კრთიან,
ნეტავ შემეძლოს მივწვდე-მივეკრა,
ვეამბორო და მწარეთ ავტირდე!

—

ის ვარსკვლავები—თვალნი სატრფოის—
უთვალავ ფერათ შეზავებულნი,
თავს დამცქერიან, სალამს მიძღვნიან
ლაჟვარდ, უძირო ცის კამარიდან.

—

ლაჟვარდ, უძირო ცის კამარიდან,
ჩემკენ მოპყრობილ სატრფოის თვალებს,
ვუწვდი ხელებს და ვითა ღვთაებას
ვემუდარები, და ვეუბნები:

—

„სიცოცხლევ ჩემო, სატრფოს თვალებო,
აღმივსეთ სული მე ნეტარებით;

*) ეს ნათარგმნი ლექსები მივიღეთ შემდეგ წერილთან ერთად: „ძმაო, ოოსებ! თუ რამეთ გამოდგეს დაბეჭდე ეს თარგმანები, თუ არა და ნუ დაიზარებ საოედაქციო გოდორში უკარი თაეი შენი ჭ ოლ ა“. ამ ჟამად ვბეჭდავთ მხოლოდ „ღამით კაიუტაში“-ს, შემდეგ „ჩ-ში დაიბეჭდება“ „კითხვები“, „ფენიქსი“ და „გამოშეკლავნება“. ოოედ.

არაფერია — მომკალით, ოღონდ
მთელი ზეცა და თქვენ დამეკუთვნეთ! .."

III

თრთოლვა-ციმციმით ციურ თვალთაგან
მეპკურებიან ოქროს წინწკლები
და ჩემი გულიც უფრო და უფრო
ძლეა-სიყვარულ თ განიერდება.

—

ახ, თვალნო, თვალნო შორეული ცისა,
ცხარეთ ატირდით ჩემს დიად გულში,
რომ სევდა ჩემი შთანთქას, წალეკოს
კაშკაშა ვარსკვლავთ ბჟყვრიალა ცრემლმა!

IV

გულ-ალმა ვწყვარ გარინდებული,
უშნო საწოლზე კაიუტაში,
ზვირთნი ზღვისანი, ოცნება ჩემი
მშობლური ხელით აკვანს მირწევენ.

—

და ჩემს პატარა და მრგვალ სარკმელში
იკვრიტებიან ვარსკვლავნი ცა —
ჩემი სატრფოის, ჩემი სულის დგმის,
ფას-დაუდები, მწველი თვალები.

—

ფას-დაუდები, მწველი თვალები,
ვითა გუშაგნი, თავს დამცქერიან
და მიცინიან კაშკაშ-ცა-მციმით
ლაჟვარდ, უძირო ცის კამარიდან.

—

ლაჟვარდ, უძირო კამარის ცისას
ვეღარ ვაშორებ მოყვარულ თვალებს,
სანამ ღრუბელთა თეთრმა ზეწარმა
სატრფოს თვალები არ დამიფარა ..

V

გემს ირგვლივ კი, ბოლთისა ცეკვით,
დადიან ზვირთნი გაჯავრებულნი,
დადიან ზვირთნი, მიკაკუნებენ
და საიდუმლოთ მეუბნებიან:

„სულელო!
„მოკლე გაქვს ხელი, ცა კი შორს არის,
„და ვარსკვლავებიც, ოქროს ლურსმებით
„მაგრათ არიან იქ მიჭედილნი...
„ტყუილად ფიქრობ, ტყვილა ოცნებობ,
„მაგას სჯობია, რომ დაიძინო!.."

VI

და მესიზრმა მე ქვეყანა უცხო,
თოვლის სუდარით მთლად დაფარული,..
ვეგდე თოვლის ქვეშ და საბუდამოთ
გამციებოდა მხურვალე გული.

—

ლაჟვარდ ციდან კი ჩემს ცივს სამარეს
დაქათქათებდა ვარსკვლავთ კრებული —
თვალნი ნათელნი, რომლებშიც კრთოდენ
ზე აღტ ცება და სიყვარული...

ჭ. ოლია (ბიკ. ლ ომთათიძე)

საამქროვო სურათი

სპანტიელ ფხაკაძე შვილი მიჰყავს სამაზრო ქალაქ, რადგან ჯარში ჰყავს გაწვეული. გამომშვიდობები ას ატყდება ტირილი. სტირის მეუღლე სპანტიელისა — მაკრინე. სტირს თვით სპანტიელის მემკვიდრე ჯარში გაწვეული ანანია. სპანტიელი გაბრაზებულია.

— ჰაი! რა გატირებს მაკრინე. არ გრცხვენია, ბოშო? ბოვშს გული გიუსკდა შენს მაცქერალს!

— ანანია, ჩემო ანანია!.. წაგიყვანენ, შვილო!.. ვილა მიგვლის, ჩემო შვილიკო!.. ვილა დაგხურავს ლ. მე საბანს?!. უი! უი! უი! უი!

— გაჩუმდი-თქვა ქალო!.. ბოშო, ნუ გადამირევ ბლარი.

— უ! უ! უ! უ!

— შენ, რაღა გატირებს, შვილო. არ გრცხვენია?! მაგიზა გამოგზარდე, რომ შენი ქვეყნის მტრებს არ შეებრძოლო?

— უ! უ! უ! უ!

— უი! უი! უი! ჩემო შვილო, რაღა გეშველება!.. რით შეიძლებ, შვილო, ომში ჩარევას!.. თოფს ვერ დეიჭერ რიგიანათ ხელში!..

ანანია მამის ჩოხაზე ებლაუკვება და ლმუის, მაკრინე მოსთქვამს... **გუგული**

პრაპორჩიკი

მიხ. ელ. მურვანიძე,

ბრძოლის ველზე მოკლული აღმოსავლეთის ფრონტზე 12 ვიორგობისთვეს. 1914 წ.

უგინოლ ზვარაკი

ჭოლა ლომთათიძე (1881—1915)

„დამარცხებული არ გეგონოთ:
ჩემი ფარ ხმალი ხელში მიჭირავს...
მხოლოდ მკერდში გამისკდა გული"!..

ჭოლა ლომთათიძე (ჰეინედან)

დანაკლისი

ქართული მწერლობისა და დემოკრატიის კერა კვლავ ძაძით შეიმოსა... ერთმაც და მეორემაც დაჭკარგა ერთი შეუდრეკელი მუშაკთაგანი, რომლის მუდამ გატაცებული, იმავე დროს ეკლის გვირგვინით მოსილი გაწამებული ცხოვრება-მოღვაწეობა დემოკრატიისა და რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულების ისტორიაში მოკაშკაშე ხოლოვით ჩაიწერებინება...

ვინ იყო იგი?

ბიკენტი, იგივე ჭოლა, გურული ღარიბი გლეხის ბიბონის შვილი, დაიბადა ოზურგეთის მაზ., ბასილეთის საზ. სოფ. მეწიეთში 1879 წ. 2 თებერვ. დედა, აზნაურ ნიკოლოზიშვილის ასული, ადრე გარდაეცვალა და ჭოლა მამის ანაბარა დარჩა. 7 წ-სამ ბასილეთის ორკლასიან სასოფლო სამინისტრო სკოლაში დაიწყო სწავლა. ამ სკოლის გათავების შემდეგ ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში შეევიდა; მაგრამ სიღარიბის გამო (ფული ვერ შეიტანა) კლასში სიარულზე მალე ხელი აიღებინეს. სკოლის გარეშე დარჩენილი მსახურად ჩადგა ხიდისთავის სამკითხველოში, სადაც გადაიკითხა ქართული ძველი და ახალი წიგნები, რამაც სწავლა-განვითარების სურვილი უფრო გაუღვიძა. 1895 წ. ქუთაისის სამეურნეო სკოლაში მიიღეს სკოლის ხარჯზე, მაგრამ მეორე წელსვე, 1896 წ., სკოლაში გ ფიცვა მოაწყო, რომლის მეთაურობისათვის აქედანაც დაითხოვეს.

ამითი დასრულდა ჭოლას სკოლური განათლება, მაგრამ წინმსვლელობის სურვილით გატაცებულმა ახალგაზდამ თვით განვითარებას მიჰყო ხელი. ქუთაისშივე დაუახლოვდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ წრეებს. ამ დროს აქ ორი წრე იყო: ს. ქვარიანისა და მ. ცხაკაიასი. ჭოლა ორივე ამ წრეში დადიოდა. პირველხანად ს. ქვარ—ნის მამულიშვილური მოძღვრება იტაცებდა, მაგრამ ბოლოს მ. ცხაკაიას მარქსისტულ წრეს შეუერთდა.

აქ ერთხანად მ. ლომთათიძის ქარხანაში მსახურებდა, შემდეგ რაჭაში იყო...

მწერალ-აგიტატორი და დეკუტატი

თვითგანვითარებით მომზადებული ჭოლა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1901 წ. პირველი ნაწერი დაბეჭდა „ცნ. ფურ.", იმავე წლის ქრისტეშობისთვის „მოამბეში" მოათავსა მეთხრობა „დავითი", 1902 წ. „ცნ. ფურც."-შივე — რამდენიმე პატარა ამბავი, 1903 წ. „კვალში" დაიწყო თანამშრომლობა, სადაც უმეტესად პროზით ლექსებს ათავსებდა. 1903 წ. „კვალშივე" დაიბეჭდა მისი თარგმანი „აზრი", ლ. ანდრეევისა. ამ წლიდან კი პარტიულმა მუშაობამ გაიტაცა, როგორც აგიტატორ-პროპაგანდისტი, თავგამოდებით მოღვაწეობდა ხალხში და მწერლობას დროებით ჩამოშორდა. 1906 წ. გურიის მხრით არჩეულ იქმნა სტოკჰოლმის რ. ს. დ. მ. პ. გაერთიანებულ კრების დელეგატად, სადაც ჯორბენაძის სახელით მონაწილეობდა; იყო აგრეთვე ლონდონის ს-ეზდზედაც. 1907 წ. 22 თებერ. ქუთაისის გუბერნიის მხრით არჩეულ იქმნა ხალხის წარმომადგენლად— დეპუტატად მეორე სახელმწიფო სათათბიროში, სადაც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ჩაირიცხა (რომლის ბელადიც იყო სახელგანთქმული ორატორი კაკი წერეთელი), მუდამ მოწინავე დემოკრატიის წრეში ტრიალებდა და მთელი რუსეთის მუშა-მშრომელი ხალხის მოთხოვნილებათ მტკიცედ უპერდა მხარს. 1907 წ. 3 ივნისს მთავრობამ სათათბირო დაითხოვა და ს.-დ. ფრაქციის 55 წევრი, მათ შორის ლომთათიძეც, 102 მუხ. ძალით სასამართლოში მისცა, შეიარაღებულ აჯანყების განზრახვისა და არსებული წყობილების დასამხობად ხალხის მოწოდებისათვის. საქმე დაიწყო 22 გიორგობისთვეს, ხოლო 1 ქრისტეშობისთვეს ბანაჩენი გამოცხადდა, რომლის ძალითაც ხალხის წარმომადგენელთ უფლება აჰყარეს და ციხე-კატორგებში გაგზავნეს; ლომთათიძეს 5 წ. კატორგა მიუსაჯეს, მაგრამ რადგან ავადმყოფი იყო, სასჯელი 7½ ციხედ შეუცვალეს, რომლის

მოსახდელადაც იყდა პეტროგრადის (პრედვარილკა), სევასტოპოლის, ბათომის, ახალციხისა და თბილისის (მეტეხის) ციხეებში.

ციხეში ყდომის დროს ისევ კალამს მოჰკიდა ხელი: 1907 წ. დასწერა „სიკვდილი დასასჯელის დღიური“, რომელიც ს.-დ. გაზეთებში დაიბეჭდა (დასრულდა 1908 წ.); 1910 წ. — „სამშობლოში“, „უსათაურო“, „ჩემი დღიური“ (ეურ. „სხივში“ დაიწყო, დღიურ გაზეთებში დასრულდა), 1911 წ. ყოველდღიურ გაზეთებში გერის ფსევდონიმით ათავსებდა „პატარა ამბებს“, ამავე ხანში დაიბეჭდა „უბის წიგნიდან“ სხ. მ.—ის ფსევდონიმით; ქუთაისის გაზ. „მნათობში“ მოათავსა „ოთარი დამე“, 1912 წ. „თემში“ „პატარა ამბები“, ქუთაისის სდ. გაზეთებში დაიწყო ბეჭდვა—„ძვ კაცისა“, რომლის ნახევარიც რედაქციას დაეკარგა. 1913 წ. გამოვიდა ლომთათიძის მიერ ნათარგმნი „ჭეინეს ლექსების კრებული“, მისივე წინასიტყვაობით, ჯ. ოლიას ფსევდონიმით, 1914 წ. ჩვენს ეურნალში („თეატრი და ცხოვრება“-ში) დაიბეჭდა მისი სილუეტი „გზაში“, რომელიც გასულ შაბათს „თანამ. აზრის“ 204. ნომერში გადაბეჭდეს. გარდა ამისა მრავალი ნაწერი აქვს, რომელიც ხელთნაწერად არის გაფანტული ანუ სხვა და სხვა გამოცემაში მოთავსებული.

მისი ზოგი ნაწერი რუსულადაა გადათარგმნილი და, ვგონებ, „Сов Міръ“-შია მოთავსებული.

ცალკე გამოცემულია მის მიერ თარგმნილი „ჭეინეს ლექსები“. ამ თარგმანზე თვითონ დიდი აზრის არ ყოფილა—დაე, თუ ჩემი თარგმნით ჩვენი სხვა ნიჭიერი მგოსანი მაინც წაქეზდება და უკეთესად სთარგმნის, ამითიც კმაყოფილი ვიქნები და ჩემი სალამიც ამ ახალ-მომავალ მთარგმნელსო...

ფრიად საყურ დღეებია მისი წერილები—დღიური, თუ არ დაიკარგა და გამოაშკარავდა როგორმე.

რას გვიმოძღვრებდა?

თუ მართალია ის ას აზრი, რომ მწერლის ნაწერი მისი სულის სარკეა, გადიკითხეთ ლომთათიძის ნაწერები და გაიგებთ—რა სტანჯავდა, საით მიგვიწოდებდა? ლომთათიძის ნაწარმოებნი, განსაკუთრებით პირველი ხანისა, ზოგი ბოლონდელიც, პირად განცდათა გამოხატულებანია, არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრების მოუწყობლობით, ამა ქვეყნის ძლიერთა უსამართლობით გამოწვეული, რომელიც ახალ ძალთა გამოჩენას შეჰყივის. ბოლო დროინდელ ნაწერებში ინტელიგენტურ წრეს ეხება, არსებულ წყობილების და საზოგადოებრივ ურთიერთობით საზოგადოებისაგან გარიყულთა ყოფა-ცხოვრებას, პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებით შევიწროვებულ ადამიანთა სულისკვეთებას. ლომთათიძის წარმოდგენით, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება მეტად უსამართლოა, არა ადამიანური: იგი ჰხედავს, რომ ცხოვრება საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ზეიმია, მეორისთვის—მარად სატანჯველი... ამიტომ თვისი მკაცრი, ხან დამცინავი და ხან მკიცხავი სიტყვით ცდილობს საზოგადოებრივ სინდისის გაღვიძებას, რათა ცხოვრების ქვედა საფეხურზე მდგომთაკენ მიუთითოს და აჩვენოს, რომ ნივთიერ უთანასწორობისაგან გათიშული ადამიანიც „კაცია, ისეთივე ხედები ასხია, როგორც სხვებს, ისევე დაბარკობს და ადადის, როგორც სხვები, ამიტომ მასაც მოუნდება ხოლმე სხვასავით შეეკარებული იყოს“. მაგრამ საამისო სახსარს მოკლებულია. თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების უკეულმართობის უმთავრესი საფუძველი ისაა, რომ ქვეყნის სიმდიდრე ერთი, მკირე ნაწილის ხელშია მოგროვილი, მეორე კი—უმეტესი ნაწილი—გაღატაკებულია. „სიმდიდრე კი ისე გაჭრობს ადამიანით, როგორც ძრწოსის ხორცით და სხვა ასეთი ხორაგეულითა“ („დასაფლავება“). საზოგადოებრივ ცხოვრების ამა თუ იმ უკეულმართ მხარეს, საგმობ მოვლენას დიდის ზიზღით აღგვიწერს, რადგან ღრმათა სწამს, რომ „რამდენად მეტს ჭნერგავ ადამიანის გულში ზიზღს, იმდენად ძლიერი მქადაგებელი ხარ სიყვარულისა, ვინაიდან წარმოუდგენელია სიყვარული, თუ სიძულვილი არ შეგიძლია“. კაცობრიობა კი ბედნიერებას მაშინ ეღირსება, როცა ძველ წესს დასაფლავებს და განახლებულ ცხოვრებას შეუდგება საყოველთაო საბედნიეროდ. მას სძაგს მდგარი, გაყუჩებული ცხოვრება, უყვარს მოძრაობა, მუდმივი მისწრაფება, ტალღა, რადგანაც „ტალ-

და ტაფდას ეჯახება, დეფდვა მატუფდობს და მისი მდგარი ხმა მკაფიო გუგუნით იფანტება ჭაერში, ამოძრავებს გაჩერებულ სიფრცეს"... („ტალლა") და ეს კი ახალ ცხოვრებას ჰბადებს.. ლომთათიძეს სწამს, რომ ყველა დაბადებული ჰყვდება, „ჭკვდება ბუნება, მაგრამ ნეტავი მას, ბედნიერება ისეთი სიკვდილი! ის, რომელმაც შეასრულა თავისი დანიშნულება, რომელმაც გაზაფხულზე შეიდო თესლი და შემოდგომაზე ნაყოფი მოიტანა, რომელმაც ერთი ათად გადაიხადა მიბარებული ტალანტი, ის დაკ მოჭკვდეს, მან შეასრულა თავისი მოვალეობა, მაგრამ მე კი, მე რა ამით? მე, რომელსაც ჯერ არაფერი გამიგეთებია". („მატლი").

იგი ხშირად გვისურათებს ბედკრულ ადამიანთ, საზოგადოებრივ ცხოვრებიდან გარეწართ, სულით სპეტაკ განმარტოებულთ, დიპლომით მოსილ ცრუ-განათლებულთ, იდეისა და რწმენისათვის დევნილ-წამებულთ და სხვ..

მისი აზრით, ადრე თუ გვიან, არსებული უსამართლო წყობილების ნაცვლ დ საერთო ძმობა-სიყვარულის ურთიერთობა უნდა დამყარდეს, სადაც არ იქნება ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა, პიროვნების ამუჩად აღება, ანუ ზიზღი ეროვნული, სარწმუნოებრივი, უფლებრივი და სხ.

ბოლო

დიად, ნეტავი მას, „რომელმაც შეასრულა თავის დანიშნულება!" თვით ჭოლაც ამ ჯგუფში ჩაირიცხა თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრებით—მწერლობით და საზალხო მუშაობით: ისტორიამ მძიმე, მაგრამ ამასთანავე დიდათ საპატიო, როლი დააკისრა და იგიც უღრტვინელად ასრულებდა მას...

ლომთათიძე თავისი მსოფლმხედველობით მარქსისტული მოძღვრების მაღიარებელი იყო, საერთაშორისო დემოკრატიის იდეის მტკიცე მიმდევარი და იმავე დროს ქართველი ხალხის წინმსვლელობა—გათვითცნობიერების ერთი მუშაკთაგანი. მეტეხის ციხეში პატიმრობის დროს განუწყვეტლივ კითხულობდა ქართულსა და რუსულ წიგნებს, განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ ლიტერატურას, „დაბადებიდან" მოყოლებულს; სთარგმნიდა რუსულიდან ქართულად, ქართულიდან რუსულად; არც ერთი ახალი მოვლენა გაურკვეველი არ რჩებოდა. ხანგრძლივმა ტყვეობამ ისედაც სუსტ აგებულების ჭოლას (ჭლექი ჰქონდა) მძიმე დაღი დააჩნია, ხშირად ძარღვებ მოშლილი იყო, უხიაკ გუნებაზე.. ხან

ლი, ხან მაისის დილასავით მოწმენდილ-მოშმღიმარე, მოსიყვარულე... ტანწვრილი იყო, საშუალო სიმაღლის, ოდნავ მოხრილი, თმაგრუზა, სახე-მკვნარი.

ჰყავდა ცოლიც, ებრაელის ქალი, რომელიც, ვიდრე ჭოლა მეტეხის ციხეში იჯდა, პირველ-ხანებში, დიდის მზრუნველობით ეპყრობოდა, ბოლო ხანებში კი...

„ამხანაგმა" არ დაინდო...

...ჭოლა ამ გარემოებამ ძალზე შეარყია... დარჩა ერთი ვაჟიშვილი, რომელიც ერთხანად ასტრახანში იზრდებოდა, ვგონებ ი. რ—თან...

მისი უდიდესი ნატვრა იყო სამშობლოს თავისუფალი ჰაერის სუნთქვა, მაგრამ ეს არ აღირსეს... და თუმცა სხეულით დასუსტებული იყო, ბოლო დროს ოჯახური უსიამოვნებაც შეემთხვა, „შვილი გზათა უკან დამირჩაო", მაინც ერთ წუთსაც არ მოუხრია ქედი და მუდამ ამაყად ზიდავდა წამების ჯვარს...

იგი ტყვეობაშიაც დეპუტატი იყო, ხალხის ნდობით მოსილი, თუმცა ეს უფლება ჩამოართვეს...

მეტეხის ციხიდან ჯერ ასტრახანს გადიყვანეს, შემდეგ სარატოვს სამაღლო სახლში, საიდანაც განთავისუფლებას დღითი-დღე ელოდა, მაგრამ ამას ვერ მოესწრო.

იგი გარდაიცვალა 4 გიორგ., საღ. 9 ს.

დასჯილ დეპუტატთაგან ეს მესამე მსხვერპლია, ტყვეობაში გარდაცვლილი... არ. ჯაფარიძე, სევ. ჯუღელი და ჭოლა ლომთათიძე,—აი დემოკრატიის სამსხვერპლოზე მოტანილი ქართველი ხალხის მსხვერპლი...

გავა დრო, დასცხრება ჯგუფური ჟინი, გაიზრდება ქართველი დემოკრატია და მაშინ იცნობს თავისი გაზაფხულის მერცხლებს, ბრძოლის ველზე დაცემულებს...

და ხალხი მადლობით მოიხსენიებს თავის უფლებათა მოპოვებისათვის მებრძოლთ...

იოსებ არიმათიელი

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება „ხალხის წარმომადგენელი—მეტეხის ციხეში" (მოგონ.)

ანგელოსი, თუ სატანა?

I

მთის მწვერვალზე მოსჩანს კოშკი,
დაკიდული, ვით ქორთ ბუდე,
და ყოველ-მხრივ, როგორც რგოლი,
აკრავს კლდეთა შავი ზღუდე;
მას ვერა სძრავს გრიგალ-ქარი,
ვერცა მეხი, ცით დაკრული,
და ამაყად დასცქერს ბარსა,
ქამთა მტვერით გამურული.
მას არა აქვს არსით კარი,
არც ბილიკი მისავალი,
მხოლოდ ელავს აღმოსავლით
წმინდა ბროლის ორი თვალი;
და როდესაც მზე დიადი
მთისა მწვერვალს შუქსა სტყორცნის,
ის გრძნეულად ელავს, ბრწყინავს,
და ნიავიც მკერდს უკოცნის.
ამ დროს ამა ბროლის სარკლმით
იცქირება ტურფა ქალი,
თმა გიშერი, ყელ-ყირმიზი,
შავთვალა და მკერდ-ფიქალი
და ტკბილის ხმით შემოსძახებს
სმენის მპარავ სიმღერასა,
უწყობს კილოს ზეციურსა
ოქროს ქნარის სიმთ ღერასა.
ამ სიმღერით ქარი ცხრება,
არე-მარე ნაბავს სულსა:
ყველა იშვებს, ყოველი გრძნობს,
სიყვარულს და სიხარულსა...
დილა არის. არე-მარე
ოქროს შუქით იმოსება,
ცა იცინის ზღვა, კამკამობს
და მთის თხემზე სხივი კრთება.
სანეტაროდ მოქარგულა
ტურფა მიწის ჭალა, კორდი,
სტვენს ბულბული: შორს გაისმის
მისი კილო და აკორდი...
ჩუ! ქუხილი მოწყდა ცასა
ამოიჭრა კარიშხალი!
წეტა რაი, რამ შეაკრთო,
რამ მოშალა ძალი?

აგერ მთაზე არის ბრძოლა.
ეჯახება ხმალსა, ხმალი,—
ბრძოლით უნდათ, რომ გადასჭრან
სიყვარულის სამართალი
და ურთიერთს ორი გმირი
ებრძვის, მხეცად გარდაქმნილი,
იქ ცა გრგვინავს მოკუბრული,
და ბანს აძლევს მას ქუხილი!...

II

გრგვინვა შესწყდა... კოშკის ძირსა,
სად ბროლი სჩანს გამჭვირვალი,
ხელთ უპყრია ოქროს ჩანგი
და კვლავ მღერის ტურფა ქალი:
„სიყვარული, სიყვარული!
სიამე და სიხარული;
არსებობის უკვდავება,
მასში არის დაფარული;
ვინც იმითი ეზ არა,
ვინც იმისთვის დასდო თავი,
მან სრულ-ყოფა მოიპოვა,
უკვდავია ის, უკვდავი!
მაგრამ წესი ვინ შესცვალოს
სიკვდილის და სიცოცხლისა?
ხან ზეცამდე აღგვამაღლებს,
ხან უფსკრულში დაგვნთქავს ისა,
და მითია ის დიადი,
რომ სრულადა ვერ მისწედები,
და მიტომაც, ადამის ძევ,
საიდუმლოს ვერ მიჰხვდები!..“
ასე მღერდა ტურფა ქალი...
და იმის წინ ორი გმირი
კოშკის ძირში უსიცოცხლოდ
ეგდო, ხმლითა განაგმირი...
სდუმდენ... მათაც გულს ჩაეკლათ
უპასუხო გამოცანა:
„ვინ აშუქებს ტრფობის წყვდიადს —
ანგელოსი, თუ სატანა?..
რისგან არის იგი მწარე,
რისგან არის იგი ტკბილი?..
რა, რა არის მის მიზანი:
სიცოცხლეა თუ სიკვდილი?...

დარია ახვლედიანისა

ელისაბედ ტიმოთეს ასული ჟიხარევი

საიმპ. თეატ. მსახიობ-ქალი საგასტროლოდ ტარტოს დასში, თბილისში.

ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 45)

მეოთხე მოქმედება

(იგივე სცენა. პირველსა და მეორე მოქმედებას შუა გადის ორი თვე)

I

ბატონიშვილი დავით და ოთარ ამილახორი

დავით (გამოდიან მეფის ოთახიდან) ძალიან მიკვირს, რომ ჩემთან მამა ლაპარაკსაც ალარა ჰნდომულობს!.. ან მართლა ძალიან ავად უნდა იყოს, ან ტყუილად იავადმყოფებს თავს, რომ თავს მარიდებს და შევალ თუ არა ოთახში, კედლისაკენ მ-ბრუნდება ხოლმე! საქვეყნო საქმეები უფრო დაიხლართა; მეფე არავითარს გადაწყვეტილებას არ აცხადებს, ბა ა-ხანი თავისის ჯარით ჩვენ საზღვართან არის; ერევნის მხრიდან. იმისი ელჩი, აგერ თითქმის ორი თვე იქნება, რაც თბილისში ტყუილად იმყოფება და ელის, როდის მიიღებს სანადიმოდ!.. ვითომც და არ შეეძლო მამას მიეღო ელჩი თავის საწოლს ოთახში?.. ჩვენი ელჩნი, ავალიშვილი და ფალავანდიშვილი რა ხანია გადმოვიდნენ რუსეთიდან და მამამ მხოლოდ გუშინ ინახულა, უჩემოდ... არა მესმის რა!. (სხვა კარებიდან და თაღიდან ფრთხილად შეშოიპარებიან ბაგრატი და ოთხი ქუშაკი)

II

იგივეა, **ბაგრატი** და **ოთხი ქუშაკი**.

დავით (გაკვირვებული შეჰკურკბს) ეს რას

ჰნიშნავს? თქვენ, ვითომც-და ჩემდა სამზერ-ლად მოიპარებით აგრე, ფეხდაფეხ დამსდევთ აჩრდილივით!.. დიდი ხანია რაც ეს შეგატ-ყეთ. მომწყინდა მე თქვენი მზვერავობა! (ბაგ-რატს) შენ რა გინდა აქა? ვინ გიძახდა? (ქე-შაკო) თქვენ ვინ დაგიბარათ?.. მე გამოვედი ამასთან ერთად (ოთახზე უჩვენებს) მამა ჩე-მის სენაკიდან, თქვენ-კი აქ საიდან გაჩნდით?

ბაგრატ. ბატონიშვილო, შენ უკვე იცი, რომ გიორგი მეფემ გვიბრძანა შენზე სას-ტიკი თვალ-ყური გვეჭიროს და რასაც სჩა-დიხარ და რაზედაც სიტყვას ამოიღებ, ყოვე-ლივე მამა შენს უნდა მოვახსენოთ.

დავით (ოთარს) ეს რისთვის?.. შენ სხვაზედ უფრო დაახლოვებული ხარ მეფესთან, მითხარი ყველაფერი რაც იცი, მაგრამ ჯერ კი ესენი დაითხოვე აქედან!

ოთარ. ამათი დათხოვნის ნება არა მაქვს, ბატონიშვილო! მეც ისრე ვარ დაახლოებულ-ი მეფესთან როგორც ბაგრატი, ესენი ას-რულებენ მეფის ბრძანებას და ვეზირი კოვა-ლენსკის განკარგულებას.

დავით. რომ მსდიან მე კვალ და კვალ-დი ჩემზე თვალ-ყური ეჭიროთ?.. ახლავე თავებს დავაყრევინებ ყველას!

ოთარ. ბატონიშვილო!.. ნუ გაცხარდე-ბი, ნუ ინებებ მაგას! შენი მამის და შენი ოჯახის ერთგულ მსახურთ სიკვდილს უპირებ?

დავით. შენ დაგავიწყდა მგონია, თუ მე ვინა ვარ?! იცოდე, რომ გიორგი მეფის შემ-დეგ მე ვარ თქვენი მეფე! ამიტომაც ყოველ-შივე უნდა მემორჩილებოდეთ! წადით აქედან!

ბაგრატ. ჩვენ აქედან დასათხოვნი არ გახლავართ, ბატონიშვილო!

ოთარ. გიორგი მეფის შემდეგ, საქარ-თველოში მეფე აღარ იქნება.

დავით. ეს რას ჰნიშნავს?

ოთარ. ეს იმას ჰნიშნავს, ბატონიშვი-ლო, რომ ასეთი ბრძანება გამოვიდა რუსე-თიდან!

დავით. როგორა?

ოთარ. ჩვენმა ელჩებმა მოიტანეს ამბავი, რომ...

დავით. რა ამბავი?

ოთარ. რომ საქართველო რუსეთს უერთ-დება საუკუნოდ...

დავით. ეგ მე არ მინდა!

ოთარ. აგრე ინება მამა შენმა!

დავით. მე არ მინდა, გესმის თუ არა!

ოთარ. ამასვე ჰნდომულობს ჩვენი წარ-ჩინებულნი, მრთელი ერი.

დავით. წარჩინებულნი! ერი!.. ცხვრის ფარა!!

ოთარ. ასრეა თუ ისრე, ეს ცხვრის ფა-რა საშიშოა, თუ გამოვიდა მოთმინებიდან!

დავით. გესმის შენ, თუ არა, რომ მე ვარ სამეფო ტახტის მემკვიდრე!

ოთარ. დიახ, შენი ჭირიმე, ეგ კარგად ვიცი, მაგრამ ახლა მაგ მაღალ ღირსებას ვე-ღარ, მიახწევ, რადგანაც გიორგი მეფე და მრთელი საქართველო უერთდება რუსეთს სა-მუდამოდ და ამის გამოცხადება საყოველთა-ოდ დღეს მოხდება.

დავით. როგორ მიბედავ მაგის თქმას, ჰოი შე ორგულო, მომავალს შენს მეფეს! (უცბად ხმალს ამოიღებს და მივარდება ოთარს დასაკვრელად. ოთარი არ შეინძრევა. ბაგრატი და თოხაგე ქეშაკნი წამსვე აშიშვლებენ თავიანთ ხმლებს და ოთარს შემოერტყმიან, რომ დავითის ხმალი ვერ მისწვდეს. დავითი გაკვირვებული, ამასთანა მოუდოდნელი მიშვებით—განზე გა-დგება. დავითი მეტად აღელვებულია)

ოთარ. (სიჩუმის შემდეგ) ბატონიშვილო! ჩვენ ახლა შეგვიძლიან იარაღი აგაყაროთ, მა-გრამ ეს შენთვის დიდი შეურაცხყოფა იქნე-ბოდა და ჩვენ არ გვინდა ვაწყენინოთ ჩვენს ბატონიშვილს.

დავით. (ხმალს ჩაგებს ქარქაშში; სხვანიც ჩაგებენ) ჰო... კარგი.. კარგი!.. მე გული მომივიდა... ისე აღელვებული ვარ ამ უკანა-სკნელი დროის ყოველი საქმით, რომ... ძნე-ლი გასაგებია. მამა რუსეთს ეძლევა... მე, სამეფო ტახტის მემკვიდრეს, მამის შემდეგ ტახტი ხელიდან მეცლება... ყოველგან ჯა-შუშნი და მზვერავნი დამსდევენ... რასა ჰგავს ეს?.. აქ, ამათი უკმეხობა ჩემს წინაშე, არავითა-რი პატივის ცემა! (სიჩუმე) ჰმ!.. გულს მოსა-სვლელი არ არის?!

ოთარ. ბატონიშვილო! მე თითქმის ლა-ლა ვარ შენი, თითქმის ჩემი გაზდილი ხარ და შენ ჩემზე ხმლით მოიწიე მოსაკლავად?!. შენ განა არ იცი, რომ ბერთველის ხმალი

უსისხლოდ არ ჩადის ქარქაშში! შენ შეურაცხ-ჰყავ ქართველის ხმალი, შენ შეურაცხჰყავ შენი ლალა!.. აჰ, რა ფიცხი რამა ჰყოფილხარ! ესენი რომ სულ ლუკმა-ლუკმად გაქცევდნენ მაგ შენი საქციელისათვის, მაგრამ შეგიბრალეს.

დავით. კარგია! დაანებე მაგას თავი! მე, ტახტის მემკვიდრე ვარ და თქვენ თვალში არაფერი ვყოფილვარ, ეს განა საწყენი არ არის?

ოთარ. თვითონ შენი ბრალია, ბატონიშვილო! იმის მაგივრად, რომ მამას სიყვარულით და პატივისცემით მოჰკიდებოდი, შენ განიზრახე იმის წინააღმდეგ რაღაც ცბიერობა და ძალით გინდა ტახტზედ აბრძანება, მამის სიცოცხლეშივე, მაშინ, როცა რუსეთიდან უმაღლესი ბრძანება მოგვივიდა, რომ საქართველო შეერთვის რუსეთს სამუდამოდ და შენ... შენ გინდა ამისი წინააღმდეგობა? ბატონო ჩემო, ერთი კარგად დაფიქრდი რას სჩადიხარ?! გიჯობს ჩუმად იყვე და დადუმდე, თორემ ხალხი გაგწეწავს, აგიკლებს. შენი მიწერილი ბარათები ბატონიშვილ—ბიძეებთან სულ ყველა გიორგი მეფეს ხელში აქვს; შენი შიკრიკნი და მდევარნი ყველა შებოჭილნი არიან. სულ, რასაც შენა ჰფიქრობ, რასაც ჰლაპარაკობ და რასაც აკეთებ, სულ ყველაფერი დაწვრილებით მოხსენდა გიორგი მეფეს და მთელმა ერმაც იცის. იყავ კეთილ გამსჯე და ყური მომაპყარ რას მოგახსენებ... რუსთა მეფე პავლე პირველმა, ეს ერთ თვეზე მეტია რაც ღვთივ განისვენა. რუსთა მეფედ ახლა ბრძანდება ალექსანდრე პირველი, რომელსაც სრულებით არ უნდოდა საქართველოს შეერთება თავისს სახელმწიფოსთან, დიდს უარზედ ბრძანდებოდა, მაგრამ ჩვენმა ელჩმა, თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ პეტრებურღში სახელმწიფო საკრებულო ვეზირობა დააჯერა, რომ საქართველოს შეერთებით რუსეთს დიდი სარგებლობა მიეცემა და თვით საქართველოსათვისაც იქნება კეთილ-საყოფელი. დედოფალს ეკატერინასაც სწადდა ეს საქმე, პავლე პირველსაც და ამ რიგად სახელმწიფო-საკრებულო ვეზირობამ ალექსანდრე პირველიც დაათანხმა ამ შეერთებაზე. ჩვენა, ბატონო, ჩვენი ელჩის, ჭავჭავაძის მადლობელი უნდა ვიყვნეთ და იმის თანაშემწეების, ავალიშვილისა და ფალავანდიშვილისა. ჭავჭავაძე პეტერბურღს დარჩა, ხელმწიფის სურვილით, რომ იმის მეფედ კურთხევაზე, როგორც საქართველოს უკეთესი წარმომადგენელი, დაესწრებოდეს იმ დღესასწაულს.

დავით. ა, ა, ა!.. მაშ აგრე!.. საქართველოს უკეთესს წარმომადგენლად მე უნდა ვყოფილვიყავი, როგორც მეფის შვილი და გენერალი და არა ჭავჭავაძე!..

ოთარ. ასრეა თუ ისრე, ბატონიშვილო, გვიანღაა ამაზე ლაპარაკი, იმიტომ რომ ეს თვითონ იმპერატორის სურვილი იყო და ამის ბრძანებისა და სურვილის წინააღმდეგობა ვის ძალ-უძს?

დავით. დიახ, დიახ! რასაკვირველია, არვის ძალ-უძს, მეტადრე ახლა, როცა შეერთების საქმე თითქმის გარდაწყვეტილია.

ოთარ. ალექსანდრე იმპერატორის წყალობის წერილი ახლა ვეზირი კოვალენსკის ხელშია და თვითონ გამოუცხადებს ხალხს, თუმცა წესდებულებით თვით გიორგი მეფემ უნდა წაუკითხოს ხალხს და ფიციც უნდა მიიღოს, თუ ჰქმნა ღმერთმა და კარგად იქმნება. დღეს უკედა ბრძანდება და მალე ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანს მიიღებს სადარბაზოდ, რომელმაც ამ წყალობის წერილზე ჯერ არა იცის-რა.

დავით. იმ დარბაზობაზე მეც დავესწრები?

ოთარ. რა მოგახსენო, ბატონო, მაგაზე გიორგი მეფეს უნდა დავეკითხოთ.

დავით. მე მსურს დავესწრო იმ დარბაზობას.

ოთარ. ეგ კოვალენსკიზედ არის დამოკიდებული.

დავით. კოვალენსკის მაგ საქმეში რა ხელი აქვს? ეგ მამი ჩემის საქმეა და არა იმისი!

ოთარ. დიახ, რასაკვირველია, ეგ აგრე უნდა იყოს, მაგრამ კოვალენსკი მამი შენის საქმეში ისე ერევა, გიორგი ისე დაემორჩილა, რომ უმისოდ ფეხის გადადგმაც არ შეუძლიან.

დავით. ოჰ, რა სამწუხაროა, რომ აგრე დაიმორჩილა მამა ჩემი! მაშ იმას აცნობე ჩემი სურვილი.

ოთარ. ვეცდები აღვასრულო შენი სურ-

ვილი, ბატონიშვილო, მაგრამ არა მგონია, რომ ეგ შეიძლებოდეს.

დავით. აგრე რადა გგონია?

ოთარ. იმისთანა იშვიათს დარბაზობაზედ უცხო პირს არავის უშვებენ.

დავით. მერე, მე რა უცხო პირი ვარ?

ოთარ. ამ შემთხვევაში—უცხო ბრძანდები.

დავით. კარგი! თქვენ თქვენი საქმე შეასრულეთ! მე ჩემი საქმე ვიცი!

ოთარ. იმ დარბაზობის წინად იქნება ინებოს მეფემ და კიდევ ინახულოს თავისი ელჩნი, ავალიშვილი და ფალავანდიშვილი, მაშინ, მგონია, რომ შენც დაესწები, ბატონიშვილო.

დავით. ჰმ... ელჩნი... ავალიშვილი და ფალავანდიშვილი!.. ჰავჰაეაძე!.. ჰმ!.. სულ, სულ ისინი არიან, სულ ისინი!.. ეს სულ იმათი საქმეა, ჩვენ დაუკითხავად...

ოთარ. იმათ გიორგი მეფე ფრიად ენდობა.

დავით. ფრიად ენდობა!?. ღვინით შექეიფიანებულნი რას არ ჩაიდენენ! მაგრამ მე იმათ შევაკვეცავ ფრთებს!.. შენ ეს მითხარ, გეკოდინება, გუშინ მამამ დარეჯან დედოფალი რისთვის ინახულა? იმათთან შესვლა მინდოდა ოთახში, მაგრამ კარები ჩაუკეტნიათ და როცა გამოვიდა დარეჯანი მე არც კი შემომხედა.

ოთარ. გიორგი ჩაუხვდა კარგად თავის მდგომარეობას, გაახსენდა თავისი შეცდომანი და დარეჯან დედოფალი დაიბარა, მოსთხოვა ბოდიში, რომ უსამართლოდ მოეკიდა. იმ დროს იქ ბაგრატ ციციშვილი გახლდათ, ბატონიშვილო.

დავით. (ბაგრატს) რაზედა ჰქონდათ მუსაიფი?

ბაგრატ. გიორგი ხელზედ ეამბორა დედოფალს. დედოფალი სთხოვდა ბატონიშვილების დაბრუნებას, თბილისს, მეტადრე იულონისას, მაგრამ გიორგიმ უარი განუცხადა, აუხსნა, რომ ახლა, ამისთანა არეულს დროს, ბატონიშვილების მობრძანება თბილისს, ადვილად ააღელვებს ხალხს, თავად-აზნაურობაში ამბოხებას გამოიწვევს, მთავრობას წინააღმდეგობას გაუწევენ და, ბოლოს, დედოფალიც მეფეს დაეთანხმა.

დავით მაშ ყველა ჩემი ბიძა—ბატონიშვილები ვერ მოვლენ თბილისს?

ბაგრატ. ვერა, ბატონიშვილო, გარდაწყვეტალია...

დავით. მაგ გარდაწყვეტილებაში კოვალენსკიც ურევია—უექველად?

ბაგრატ. ალბად, ბატონიშვილო, უიმისოდ გიორგი მეფე არასფერს არ გადასწყვეტს!.. შენ კარგად მოგეხსენება, ბატონიშვილო, რომ მეფე გიორგის ცხოვრება არ არის ისე ბედნიერი, როგორიც უნდა ყოფილიყო... და მეფობს კიდეც მცირედ ხანს. ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ ჯერ ორს წელიწადზე მეტი არ გასულა და მას აქედ გიორგი მეფე იტანჯება და ძალიანაც იტანჯება, როგორც ხორცით ისე სულითაც.

დავით. ხორცით რომ იტანჯება ეგ მე ვიცი, იმისი წყალმანკი განუკურნავია და მეტად სივდება. სულით?.. სულით რიღათი იტანჯება? ხომ ჰმეფობს ბედნიერად?

ბაგრატ. რადა ბედნიერებია, როცა ჰხედავს, რომ ილუპება საქართველო!

დავით. ეჰ, რას ამბობ?! რითი ილუპება?

კ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)

აქეთურ-იქითური

თავიხებური ხელობა დაიწყო პარიზში ერთმა კაცმა და ბლომა სამკალსაც იმკიდა. ეს კაცი მდინარეს ნაპირას შენიშნავდა თუ არა მრავლად თავმოყრილ ხალხს, ისკუპებდა და წყალში გადავარდებოდა ხოლმე. შეჩოჩქოლდებოდა ხალხი, წყალში გადავარდნილს გამოათრევდენ და გულმტკივნეულად ჰკითხავდენ:

— ისეთი რა გაგჭირვებია, რომ თავს ირჩობო?

— სიმშილს თავის დარჩობა მირჩევნიაო, მიუგებდა ხოლმე.

გულშემატკივარნი ფულს აჩუქებდენ, რომ ცხოვრების სახსარი გაეჩინათ და თავდარჩობისაგან გადაერჩინათ. ეს ვითომდა სიმშილით თავდასარჩობი ახლა სხვა ადგილას გადავარდებოდა ხოლმე და ამგვარად ბლომა ფულს ბოჭავდა, მაგრამ კოკამ მუდამ ვერ ჰზიდა წყალი: ერთხელაც, წყალში გადავარდნისა და წყლიდან დახსნის დროს, ერთმა კაცმა იცნო და მიუხვდა, რომ ამ ვაგბატონს „დარჩობა“ ხელობად გაეხადნა. და მაშინვე ხალხს გააცნო, ვინც ბრძანდებოდა იგი. ბრაზმორეულმა ხალხმა იქვე ხელი სტაცა და წყალშივე გადაუძახა: დარჩობა გინდა და ემენდა—ისიამოვნოო. ამ ჯამად კი არავინ მიშველებია...

ახალგაზრდა ლექტორი ვ. ა. **გურკო,** საქართველოს შესახებ ლექციების მკითხველი. 7 გიორგ. წაიკითხა „ქალის კულტი საქართველოში“ 1 [illegible]

„ქალის კულტი საქართველოში“, ვ. ა. გურკოს მიერ „არტ. საზ. თეატ.“ დარბაზში 7/XI წაკითხული ლექცია, ფრიად საყურადღებო აღმოჩნდა, რაიცა მრავლად თავშეყრილმა საზოგადოებამ დიდის გულდადებით მოისმინა. ძლივს გამოჩნდა ერთი რუსი, რომელმაც თავისი თანამემამულენი, დიდნი მწერალნი—პუშკინი, ლერმონტოვი, პოლონსკი, ახლანდელნი—კუპრინი და არციბაშევი, ამხილა—საქართველოს არ იცნობდით, ზევიდან დაჰყურებდით და ბევრგზის უდიერათაც იხსენიებდითო. მართალია, ლექციაში „ლრმა“ მეცნიერული არ იყო (და ვგონებთ, სახალხო ლექტორს ეს ღირსებათაც ჩაეთვლება). მაგრამ რაც კი ხელთ ჩავარდნოდა საქართველოში ქალის გაუპირატესობის, ქალთა ამაღლების, ქართული ძველი მწერლობის (ქალზე) და ჩვენი ზნე-ჩვეულებათა შესახებ, დალაგებით გაუზიარა მკითხველთ. აღნიშნა, რომ ქართველებში უძველესად—დედათმბატონობა (მტრიარხატი) იყო, აქედანვე მომდინარეობს ქალთა უპირატესობა, საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილად არის მიჩნეული, ნინოდა თამარი ერმა თუ გაეწმიდანა კიდეც, ამითი გამოხატა ქალთა დიდი პატივისცემა; შეეგო „ევეფ. ტყ.“, რომელიც თუმცა უცხო ჩარჩოშია ჩასმული, მაინც ქართულ ეროვნულ სულითაა გაჟღენთილი და მასში ქალის დახასიათება მაღლება თვითარსია, ქართულ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენილი. პატივც. ლექტორი კიდევ ბევრი მხრით შეეხო ჩვენს წარსულს. ჩვენი მწერლობა-კულტურის ალმაცერად მაცქერალს ეს ლექცია ბევრს ახალს აუწყებს, და დაარწმუნებს, რომ საქართველოს ზნე-ჩვეულებას და წარსულის შესწავლა უფრო მეტის ღირსია, ვიდრე ისინი იჩენენ, რომ ჩვენში იყო ბევრი სულიერი განძი, მაგრამ ყამთა-ვითარების გამო დღეს წარყვნილა... ეგება კაციკამაობის, სხვათა შეუწყნარებლობის ყინი დაიშრიტოს და ჩვენ სწორედ ის მოგვიზღონ, რის ღირსნიცა ვართ ჩვენის წარსულით... ახალგაზდა ლექტორი გურკო, რომელმაც შარშანაც წაიკითხა ლექცია საქართველოს შესახებ, ამის მერცხალია... სასურველია რუსეთის დედა-ქალაქებში წაიკითხავდეს თვით ამ ლექციას... საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დაამშვიდოვა ლექტორი.

ქართული სახიობა

ქუთაისის თეატრში მსახიობთა ამხანაგობა შადგა დადგინის შეთანხმებით ერთ თვეზე მეტია მუშაობს *), და ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ მიიზიდა საზოგადოების ყურადღება. დასს, ისევის თავად, დიდი პრეტენზიები არა აქვს, მას არაფერი ახალის თქმა არ უნდა და არც შეუძლია ამ უსაშველო პირობებში, რაშველიც კარგა ხანია იმეოდეგება ჩვენი თეატრი. წმინდა ესთეტიურის თვალსაზრისით ზედ-მეტი იქნება შეხება ჩვენი დასის მიდგაწყობისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია მისი სარგებლიანი მნიშვნელობა, მისი აუცილებელი საჭიროება. ქუთაისის საზოგადოებას უყვარს თეატრი და მისი უსეზონოდ დატოვება—ეს ერთგვარი დასჯა იქნებოდა. მე მახსოვს ერთი უსეზონოდ წელიწადი აქ, და ზედ მეტი არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ მაშინ ქუთაისი უფრო მოსაწყენი იყო ვიდრე რადაისმე.

წლევანდელ დასში შანაწილდებიან რამდენიმე ნიჭიერი მსახიობი და ბევრი სასარგებლო სასტეხო შიდგაწყ.

თვით ბ. შადგა დადასი ძველ ტრადიციის რეჟისორია. ანახსოვდ მისი პირადი განცხადებანი, ტრადიციული სტილის დარდევეგა შეიძლება საჭირო, და მეტად საჭირო იყოს, მაგრამ ამას

*) წერილი დაგვგვიანდა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო. ავტ.

ვერ შესძლებს თანამედროვე რეჟისორი, სამწუხარო პირობებით შებოჭილი. როგორც მსახიობი, იგი ხანდახან გამოდის სცენაზე, ადგილ, უმოკვრესად მისთვის, რომ ანსამბლი შეავსოს.

ქ-ნი ეფემია მესხს კიდევ შერჩენია გრაცია, ხანდახან ბუნებრივი გრძნობიერობა, ვითარსიც-ია კაიეფლვარებს ხოდმე მის თამაშში. მსახიობის თამაში უოველდოვის იწვევს თანაგრძნობას, და უნდა ვსთქვათ, რომ მისი დასში მოწვევა დიდი შემატებაა.

ქ-ნ მარო მდივანს კარგად იცნობს ქუთაისი. მის დიდებად უნდა ჩაითვალოს მონდობიდობა, ხოლო სისუსტად — ერთფეროვნება. მსახიობს აქვს როდები, რომელთა შესრულებაში მას სწორი არა ჰყავს ქართულ სცენაზე.

ინტერესო მსახიობია ელო ანდრონიკაშვილი. მისი ამპლუა — კეკლუცი როდებია. სიტყვიერ, მოძრაობა, ხალისიანობა, — ყველაფერი ეს კარგად ახასიათებს მას და რომ მისი ხმის სისუსტე მეტად საგრძნობელი არ იყოს, მაშინ ეს მსახიობი ერთ საუკეთესო სცენის დამამშვენებლად ჩაითვლებოდა.

დანარჩენი მსახიობი ქალები ბეგანიშვილი, კვეთელი, ფოფობერიძე, შოთაძე და სხვანი სასარგებლო ელემენტები არიან, განსაკუთრებით სიინტერესოა ბეგანიშვილი.

ვაჟებში ფარდალიშვილსა და ეალბეკაშვილს პირველობა ეკუთვნის. პირველში ბევრი კამოცდილობაა, მეორეში ძალიერება ბუნებრივი კანცდისა. ორივეს ახასიათებს სცენის სიყვარული. კარგ პირობებში, მათ შეეძლოთ ბევრი სარგებლობის მოტანა. მათ თამაშს სიამოვნებით შეგვეხები შემდეგ წერილებში, როდესაც დაწვრილებით გავარჩევ ცალკე პიესებს. მაშინვე კამოვხატავ ზემს აზრს სხვა მსახიობთ შესახებაც, რომელთა შორის არიან მნიშვნელოვანი ძალები, მაგ. მურუსიძე, ბარველი, კვარაძე, კორიშელი და სხვა.

თეატრის დეკორაციებზე ვერ ვიტყვი ვერაფერს კარგს. ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ უდამაზობაა. ვერც ერთხელ, ვერავითარ მომენტში დეკორაციამ ვერ შესძლო მოქმედების გადაწყვეტება. შოიბეჭდებოდა უოველდოვის იმგვარია, თითქოს პიესაში მოქმედება სწორმოებს თავის თავად და მთელი პიესის დეკორაცია თავის თავად.

ჯერჯერობით რეპერტუარის ცენტრალურ პიესებად ითვლება „სინათლე", „დადატი" და „უანდგები". „სინათლე" წელს სამჯერ დასდგეს და ხალხით ეოველთვის სავსე იყო თეატრი. საინტერესოა, რომ დასი პირველებს შემდეგში ისეთი პიესების დადგმას, როგორიც არის მაგ.: „ალიდის „ბალდუს ჭერტოგინია" და სხვ.

საზოგადოება საკმაოდ ესწრება წარმოდგენებს.

L'ami

ბოლჯომში, კვირას, 1/XI ბ. ტალიკაძის თაოსნობით გაიმართა კონცერტი და წარმოდგენა. იმღერეს ხალხური სიმღერები, წარმოადგინეს „პატარა კახის მე-2 და მე-3 მოქმ.

„პატარა კახში" არა უშავდარა ქ-ნ ე. აბრამაშვილს (ტურფა) ბ. გოძიაშვილმა (კახი) როლი იცოდა, მაგრამ გმირი ჭაბუკის „პატარა კახის" სულის კვეთება ვერ დაგვიხატა. ბ. ბეთანელის გივი გვარიანი იყო, მაგრამ ის კი არ ვარგოდა, რომ სცენაზე გამოსვლისას დაიწყო თავზე ქუდის ძებნა: პარიკზე დახურული ქუდი კულისებში დაჰკარგოდა და ტყეში უქუდოთ გამოგვეცხადა. გოძიაშვილმა (ქვაბულიძე) როლი არ იცოდა და ამიტომაც ვეღარც მეორე მოკარნახემ უშველა. არც დანარჩენებმა იცოდნენ ხეირიანად როლები.. მასიური სცენები და სიმღერები უფერული იყო. გაჭიანურებულმა ანტრაქტებმაც შეაწუხა დამსწრენი. დ—ე

ხარფუხის მუსულმანთა აუდიტორიაში 31/X წარმოდ. იქმნა „ბატონი და ყმა", დივერტისმენტი თეატ. გრ. დარნელის რეჟისორობით. 7/XI წარმ. იქმნა „დამარცხებულნი" ალ. თავდგირიძის რეჟისორობით. რ. ჯიბლაძისა (იმერელი) და ა. თავდგირიძის გარდა სხვანი მოისუსტებდენ. ორივე წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, შეძოსავალი კი... ნაკლები იყო.

ხარფუხის საზოგადოება გულ-მხურვალედ ესწრება წარმოდგენებს. საჭიროა ახალგაზდობამ წარმოდგენებს ხელი შეუწყოს და სავიგინდაროდ არ გახადოს ეს წმინდა საქმე!.. რეჟისორებს ჰმართებთ, სულ გამოუცდელნი სცენაზე არ გამოუშვან. ხარფუხისთვის აუცილებელია სამკითხველოც... ბედუა

პრაპ. სილ. ან. კაპანაძე
ბრძოლის ველზე მოკლული

სანიცვათო წუთი

(ბროდოლის ვალიდან მოწერილი წერილიდან. სრულიად უცვლელად იბეჭდება)

...დამე იყო, ბნელი, ნისლიანი დამე, რომლის წყვდიადი ადამიანს ნერვების უშლის. არც ერთი კელის ნაბრალი, არც ერთი მთის ფერდობი, ან წვეტი, რომელთა ერთფერადობა-ერთგვაროობა გულს გიწყალებს,—არ სწანდა, სადღაც გამქრალიყო...

ოცდა ათიოდე სიდუტი გამოწნდა სანგრებზე, ყველანი შეიარაღებულნი, ცხვრის ქურქში გახვეულნი.. მალე ისინი ჩანთქა ღამის სიბნელემ, გზა მეტად ოდრეოანიდრო იყო და, მასთანავე ყველგან ვეებერთელა ქვების ნატეხები. ძალიან სიფრთხილე იყო საჭირო, ფეხის ხმაურობა შორს არ გასულიყო, მტერს ეურამდის არ ქიდწვოდა. ამიტომ ნელნელა მიიწევდენ წინ. სანამ ფეხს გადადგამდენ, თვითეეული მოგანი თავის წინ კონდახით მიწას სინჯავდა და შემდეგ ან გეურდს ეუხვევდა, ან არა და სვლას განაგრძობდა. ამავე დროს ამსანაგებს თვალს არ აშორებდა, რომ არ დაშორებოდა. თუ რომელიმე მოგანი მეუდროების და სიფრთხილის ჭარმოანის დაარღვევდა, ყველანი უმალ ქვებზე გაწყვეტილდენ და რამდენიმე წუთს ეურს უგდებდენ, არემარეზე ატრემლებულ თვალებს აჭყეტდენ, ეურების ქუდის და საყელოების კიდეს აშორებდენ და ასე რამდენიმე წამს გაშეშებული იდგნენ. თოფლის ნაფლეთები კისერზე ადნებოდა, ეურუნტელს გვრიდა...

აგერ ორი ხანთი გასულიყო და ამათ კი ათასიოდე ფეხის ნაბიჯი გაეგლოთ. მტერს თანდათან უახლოვდებოდენ... სიფრთხილეს ათეკეტებდენ. თითქოს ყველანი დამუნჯებულან, ენა სახაზე მიეკერებათ და მოკუმული ტუჩები ერთმანეთის მიჭყინვიათო.

მტერი კი ადამიანის მეურ გამოგონებულ სორთში იჯდა გაშეშებული... ისიც ქურქში იყო გახვეული, მასაც ბეგე-ბეგესედ მიეყინოდა, ხელიდან თოფი გამოსტეხებოდა და იქვე გაყინულ თოვლში ნაფლეთიყო.

მას ჯეფი თავს უფლიდა გახიდან, სულ ახლო... ეერ შეაშინა, რადგანაც არ კი გინძრა... ან შეიძლება კიდეც შეხედა, აჭყეტა ალი, დარწმუნდა კიდეც მაგრამ... მაგრამ სიტიფისაგან მოკუნწულიყო ყელარ განძრეულიყო, ეგეთ მიხედ თავის უბედურობას, მაგრამ ჩადურჯეულიყო, სიცივე-ქარისაგან დათუთქული ტუჩები ირონიულ ღიმილის მსგავსათ დაღიმეჭა ადნა და წაიბურტულა: „სულ ერთია“-თ...

უცებ, მას წარმოუდგა დიდი სანგარი, ოთხოცდა ათიოდე მისი ამხანაგი იყო თოფდაში ჩაფლული. იქვე სანგარზე თოფების თავ-ამოფილი ხიშტები. მათ ჩაებარეს თავისი უტეირეესი ესი განძი—სიცოცხლე, გაძარეეგეს, სახლი, რომელიც მან ახლა ბედის ანაბარათ უნდა დასტოვოს..

ეფრატის დეიძლი შეიდა, ასკერი, ან თავისუფალ მოების შეიდა—ქეროი თავის ძმების ჯიდის, �da, გაეიდა კიდეც...

უეცრად თავი მალა აიდო, შეანძრა, გადურეებული ხელებით თოფს, მის ერთგულ, მასავით გაყინულ ამხანაგს შეეხო, მოანახა, აიდო და ოთხი სიტეს გაუკარა, გამოსწია ფეხს და თოფმა იგრიალა. კიდეე ერთი და.. ისევ თოფლში ჩაეფლო. მხოლოდ-და ნაბეერწყლები გაცეივდა...

ჩუენ კი ამ დროს სანგარს წავადექით... ვიღაც ძიდში დაამოქნარა, ჩაიცინა. სიხარეა!.. ნეტა რა ნახა?

ბუფ, ბუფ, ბუფ... გაისმა რამდენიმე ხელი სასროდ ეუმბარების ხმა... წითელში სითხეს შელება თოფლი სანგარში...

გამარეეულნი დაბრუნდენ, მეც დავბრუნდი...

შეიძლება ჩუენის მხრით სიფრთხილე შეცარებულიყო!..

მაშინ რადენი შეიცვლებოდა.

ვას. კ—ია.

წვრილი ამგები

◆ **ჰოლა ლოგთათიძის** ცხედარი თბილისს ჩამოასვენეს წმ. ნინოს სასაფლაოზე დეპუტატებმან დასაკრძალავად.

◆ **„ეშმაკი საქართველოში“**. ბოლმა კ. მაკაშვილისა კოზო ანდრონიკაშვილმა სცენას შეუთვისა. ამ დღეებში მეფის ნაცელის კანცელარიას წარედგინება წარმოდგენისათვის ნების ასაღებად.

◆ **ცალკე წიგნად გამოვიდა** ა. იოანელის პიესა „ბედნიერი დღე“. წიგნი ფერად ქაღალდზე დაბეჭდილი, 78 გვ. შეიცავს და 30 კ. ღირს.

◆ **ქარტ. დრამ. დასი** ხარფუხის „ლეგში“ წარმოადგენს „პირველ ბუხს“, სად. სახლში—„ახალი ცხოვრების“.

◆ **მგოსან ნიკ. ბარათაშვილის** ნამდვილი სურათი, მისი თანამედროვის მ. ბ. თუმანიშვილის ჰერ დახატული, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, გ. მ. თუმანიშვილმა თავის მამისეულ სიძველეთსაცავში აღმოაჩინა. სურათი დაიბეჭდება „ჯეჯილსა“ და ჩვენს ჟურნალში.

◆ **ხარფუხის კლუბის** სცენას დეკორაციები პოუშატეს და შეალამაზეს.

◆ **„ახალი კლუბის“** საკონცერტო დარბაზი სტუბითურთ სწრაფად კეთდება.

◆ **„განათლების“ საზოგადოების** კოება გ. გაბაშვილის თავმჯდომარეობით და ივ. ციფშიძის მდივნობით შესდგა 8/XI საზ-ის სკოლაში. კოებამ გაარიხილა გასული წლის მოქმედების ანგარიში, დაამტკიცა, გამგეობას მადლობა გამოუცხადა ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, ოგინიეე აირჩია ახალგამგეობაში წ. ვ. მაჩაბლის ასულის მიმატებით. დაადგინა მადლობა გამოეცხადოს თბ. გუბ. თავ.-აზნ. უნვი შემოწირულებისათვის, ქართ. კულტ. საზოგ. კავშირში აირჩიეს ან. მ. თუმ.-წერეთლისა, ეკ. მესხისა და ს. სარაჯიშვილი. საზოგადოებას საკუთრება აქვს: ს ხლი სვიატ.-მირსკის ქუჩ. და სურფსარქისის ქუჩ ს. კიპარიზოვის მიერ შეწირული, რომელშიაც პროფესიონალური სკოლა გაუხსნიათ. საზოგადოების გამგეობა ბეჯითად მუშაობს სკოლის წარსამატებლად.

◆ **სასკოლო მუზეუმი** „განათლების“ სკოლაში მოუწყვია ივ. ს. ზედგინიძეს, თვით შეუკრებია ძრავალი კოლექცია მწერთა, მიწალთა, ქვეწარმავალთა, საოჯახო-სამეურნეო იარაღთა და სხ.

◆ **მგოსან ს ფაშალიშვილის** შესახებ ჩვენს ჟურნალში („თ. და ც.“ № 42) დაბეჭდილ წერილის გამო ხასავ-იურტიდან ქართველ ხეტოსან-ვაჭრის ვანი მესხიევისაგან წერილი მივიღეთ, ოომელშიაც გვწერს: თუ უმაღლეს სწავლას მოისურვებს, ამ' თავითვე ათ თუმნით შევეწევი და შემდეგ კი, თუ ბილიარდსა და ლოტოობას არ გაჰყვა, ყოველ თვიურად შევეწევი შეძლებისა და გვარადო.

◆ **ქართველ მომღერალ-მგალობელთ გუნდი** (ტულაჯებში) ილ. მაისურაძის ლოტტბარობით, ამ მოკლე ხანში სახ. /სახ-ში კონცერტს გამართავს 4 განყ. შემოსავლის ნაწილი წყალ-დიდობისგან დაზარალებულთ გადაეცემა.

◆ **მსახიობი ვალ. შალიკაშვილი** გაკოს დასის რეჟისორ., მძიმე ავად შექმნილა და საავადმყოფოში წევს. მის მაგიერ ვ. გუნია გაიწვიეს, მაგრამ არ დასთანხმდა.

◆ **ნაძალადევის თეატრში** კვირას, 15/XI, ვ. აბაშიძ.სა და ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით „ხანუმა“.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

სახალხო სახლი

ორშაბათს, 16 გიორგობისთვეს, 1915 წ.

ქართ. დრამ. სახ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებით

ახალი პიესა **ახალი ცხოვრება**

მონაწილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ.; ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., ეიკიძე ი. ადგილების ფასი სამი შაურიდან მანეთნახევრამდე.

დაიწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

დრამ. სახ-ის გამგ-ის მორიგი წევრი ი. გედევანიშვილი.

ხარფუხის საზ. კლუბი

მიხეილის ქ. № 131

ერთი კვირის პროგ. 14 გიორ. 22 გიორგ-დე

შაბათს კვირა { სიმებიანი ორკესტრი პრესმანის კონცერტი პრესინსკაიას მონაწ.

ორშაბ. სინემატოგრაფი; საზანდარი

სამშაბ. სიმებიანი ორკესტრი

ოთხშაბ. ქართ. წარმ. „პირველი ბუზი“

ხუთშაბ. სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტ.

პარ.-სკევს. საზანდარი, სინემატოგრაფი.

შაბათი კვირა { სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტბ. მუსიკალური საღამო

შესავალი ფასი: მამაკაცნი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ქუთაისში
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.